ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 418

7 სექტემბერი
"___"_____ 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 აგვისტო №21.1127.1259 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01211382040-67 (№01211792141-67; №01212101149-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 21.1127.1259
12 / აგვისტო / 2021 წ.

,,ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 18 მაისს N01211382040-67 (N01211792141-67; N01212101149-67) განცხადებით მიმართა აკაკი გვარამიამ (პ/ნ 01024004095) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, ხუდადოვის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.21.06.859; N81.21.06.906); საერთო ფართობი შეადგენს: 2 831 $მ^2$-ს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკით კი სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ნაწილზე ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

,,ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებული საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)- 25 504 კვ.მ; საკულტო ზონა (2 000 კვ.მ). ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კი იყო შემდეგი: კ-1=0,5 (12 750 კვ.მ); კ-2=0,8 (20 400 კვ.მ); კ-3=0,3 (7 650 კვ.მ).

წარმოდგენილი წინადადებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება N23 და N24, ნაკვეთებს რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 2301 კვ.მ-ს.

განაშენიანების რეგულირების გეგმით წარმოდგენილი ფუნქციური ზონირება წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 1-ს (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1); კორექტირების მიზანია მოხდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და საპროექტო ტერიტორიას დაემატოს N81.21.06.906 საკადასტრო ერთეული;

ასევე, N81.21.06.093 და N81.21.06.094 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეიქმნა N81.21.06.773. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N81.21.06.773) კი დაემატა მიწის ნაკვეთები N81.21.06.787 და N81.21.06.763 და მიღებულ იქნა ამჟამინდელი N81.21.06.859 საკადასტრო ერთეული. შესაბამისად, შეიცვალა არეალიც, რის გამოც ხდება კორექტირება და საპროექტო წინადადებით განისაზღვრება ახალი გამიჯვნის სქემა;

ნაკვეთი N1 (ნაკვეთი N23) - აღნიშნული ნაკვეთისთვის განვითრების სახეობა (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) რჩება უცველილი. დაკორექტირდა გამიჯვნის სქემა, შესაბამისად შეიცვალა ფართობი. ფუნქციური ზონები დარჩა უცვლელი, ვიანიდან შეიცვალა ნაკვეთმა კონფიგურაცია და გადავიდა სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2).

ნაკვეთი N2 (ნაკვეთი N24) - საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება 3 სართულიანი მრავალფუნქციური კომერციული/საოფისე შენობა. აღნიშნული ნაკვეთისთვის შეიცვალა განვითარების სახეობა და ზონის ცვილილებიდან გამომდინარე, საზოგაოდებრივ-საქმიან ზონა 3-ის (სსზ-3) შესაბამისად მიენიჭა მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, საოფისე შენობა) სტატუსი;

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე:

მთლიანი საპროექტო ტერიტორია: 28 034 კვ.მ

მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის ჯამურად

კ-1=0,5 13 419.4 კვ.მ

კ-2=0,8 23 489.8 კვ.მ

კ-3=0,3 7 999.1 კვ.მ

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები საპროექტო მიწის N23 და N24 ნაკვეთებისთვის:

ნაკვეთი N23 (საპ. N1) - ფართობი 605 კვ.მ

სზ-1 ფართობი 524 კვ.მ

კ-1=0,5 283 კვ.მ

კ-2=0,8 440 კვ.მ

კ-3=0,4 210 კვ.მ

რზ-2 ფართობი 81 კვ.მ

კ-1=0,2 19 კვ.მ

კ-2= -

კ-3=0,8 65 კვ.მ

ნაკვეთი N24 (საპ. N2) - ფართობი 2 226 კვ.მ

სსზ-3 ფართობი 1343 კვ.მ

კ-1=0,7 994 კვ.მ

კ-2=3,0 4083 კვ.მ

კ-3=0,2 269 კვ.მ

სზ-1 ფართობი 602 კვ.მ

კ-1=0,5 325 კვ.მ

კ-2=0,8 506 კვ.მ

კ-3=0,4 241 კვ.მ

რზ-2 ფართობი 193 კვ.მ

კ-1=0,2 46 კვ.მ

კ-2= -

კ-3=0,8 154 კვ.მ

ტზ-1 ფართობი 88 კვ.მ

კ-3=0,1 9 კვ.მ

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის

გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 6 აგვისტოს N012121849 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 8 ივნისის N01211593666 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N81.21.06.859 და N81.21.06.906 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანებისგანახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01211382040-67 (N01211792141-67; N01212101149-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ,,ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვისგანკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

წერილის ნომერი: **01211593666**
თარიღი: **08/06/2021**
პინი: **8297**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა 2021 წლის 18 მაისის №01211382040-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.21.06.859, 81.21.06.906; ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა; გამწვანებული ტერიტორიების რუკა: ნაწილობრივ შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები და რზ-2) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და მრავალფუნქციური შენობის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში **81.21.06.859 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი 3 ძირი (№1-2) და **81.21.06.906 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი ერთი ძირი (№9) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში, საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 8 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^2 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში, **81.21.06.859 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი 5 ძირი (გლდეიჩია: №3 - D=19.1; №4 - D=13.1; №5 - D=11.8; №7 - D=21.7; ზეთისხილი: №12 - D=10.2) და **81.21.06.906 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი 2 ძირი (მარადმწვანე კვიპაროსი: №10 - D=6.7; №11 - D=5.7) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ **81.21.06.859 საკადასტრო ერთეულზე** არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **ორი ძირი ჯანსაღი გლედიჩიას** (№7 - D=31.2; №8 - D=30.6) დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^1 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს აღნიშნულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული:** 9 ძირი ჰიმალაის კედარი; **გადასარგავი:** 6 ძირი გლედიჩია, 2 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, ერთი ძირი ზეთისხილი; **საპროექტოდ დასარგავი:** 13 ძირი იტალიური ფიჭვი და 12 ძირი ნეკერჩხალი ქორაფი; **ჯამში - 43 ერთეული**) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიის სსზ-3-ის, სზ-1-ის, ტზ-1-ის და რზ-2-ის ნაწილისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**671.2 მ^2**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქალაქ თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის გამწვანების დეტალური პროექტის შეთანხმების საკითხზე, რომლის განვითარებაც იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით (სზ-1 კ-3 = 0.4 და რზ-2 კ-3 = 0.8), გადაწყვეტილება მიღებული იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის ფარგლებში, დეტალური პროექტირების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 81.21.06.859 და 81.21.06.906 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01211942952**
თარიღი: **13/07/2021**
პინი: **7109**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა 2021 წლის 28 ივნისის №01211792141-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.21.06.859, 81.21.06.906; ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა; გამწვანებული ტერიტორიების რუკა: ნაწილობრივ შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები და რზ-2) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და მრავალფუნქციური შენობის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში დადებითი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე წლის 8 ივნისის №01211593666 წერილით. გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე წლის 28 ივნისის №01211792141-67 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი, რომელიც გეცნობათ მიმდინარე წლის მიმდინარე წლის 8 ივნისის №01211593666 წერილით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ აღნიშნული პოზიციით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **012121849**
თარიღი: **06/08/2021**
პინი: **7232**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2021 წლის 29 ივლისის N 01212101149-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.21.06.859 და 81.21.06.906) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა (16-01212042115, 23/07/2021) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შეთანხმების წერილი. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

განაშენიანების რეგულირების გენერალური გეგმა



ზონა	ფართობი
სზ-2	27504 კვ/მ
K-1=0.5	12750 კვ/მ
K-2=0.8	20400 კვ/მ
K-3=0.3	7650 კვ/მ

ჭრილი 1 - 1

ჭრილი 2 - 2



ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები	
მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი	27504 კვ/მ
მათ შორის	
საკუთარი სარეკრეაციო მიწის ნაკვეთის ფართობი	2000 კვ/მ
საკადასტრო ზონა 2-ში მიწის ნაკვეთის ფართობი	25504 კვ/მ
საანგარიშო ზონა 2-ში არსებული სიგრძივები ფრაგმენტებისთვის	
ნაკვეთი 1-4-ში ნებადართული ფიზიკური ტევადობა 0.8-ის ნაგებობის ფართობი	12750 კვ/მ
ნაკვეთის მაქსიმალური ფიზიკური ტევადობა (K=2) ნაგებობის ფართობი	20400 კვ/მ





დამკვეთი: ქობილისში ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების მფლაკეორები

მისამართი: ქობილისიგლეხნინანალდვეფის რაიონში,ხეხილსანერგე მეურნეობა

შემსრულებელი: არნიდ მენაბდე

მისამართი: ქობილისი თ.იოსებიძის ქ№ 53

Tel: +995555907665
E-mail: a.menabde@gmail.com

შეთანხმებულია
ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსი მოადგილის შემსრულებელი
გ. გოგოლაშვილი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთარქიტექტორი	ამენაბდე	

თბილისის ზღვის მიმდებარედ ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა

მასშტაბი	1:500	ფორმატი
თარიღი	2013	A- 1
სტადია	ფურცელი	ფურცლები
გრგ	13	15

შემსრულებელი
შპს "ურბან სფეის"
mariam_epremidze@yahoo.com

დაკვეთა:
განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ტიტული

დამკვეთი: აკაკი გვარამია
დავით ჭელიძე
ლია წულუკიძე

სტადია

მონაწილე ძირითადი სპეციალისტები
არქიტექტორი
მ.ეფრემიძე
თ. ცხაკაია

ხელმოწერა

ფურცელი № 38 | სულ 60 ფ.

დასახელება:
განაშენიანების რეგულირების გეგმა /ფეთანიგეგული ბრბ-ს მიხედვით/

შენიშვნა:

1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში.

2. გრგ ნებისმიერ ვადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ან/და ძინაარსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს ურბანულ სამსახურთან. ეხება სანის უნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.

თარიღი: 17.05.2021

ფორმატი A3


01.12.21.001.538
01.12.21.001.141
01.12.21.001.107
01.12.21.001.108
01.01.834
01.04.377
01.01.267
81.21.01.549
81.21.07.084
81.21.07.038
81.21.07.112
81.21.07.070
81.21.01.678
81.21.01.768
81.21.01.876
81.21.01.912
81.21.06.404
81.21.06.657
81.21.06.748
81.21.06.527
81.21.06.726
81.21.06.385
81.21.06.166
81.21.06.882
81.21.06.861
81.21.06.802
81.21.06.708
81.21.06.661
81.21.06.833
81.21.06.129
81.21.06.266
81.21.06.618
81.21.06.745
81.21.06.039
81.21.06.020
81.21.06.243
81.21.99.179
81.21.01.369
81.21.06.198
81.21.06.199
81.21.06.117
81.21.06.608
81.21.06.538
81.21.06.314
81.21.06.348
81.21.06.389
81.21.06.164
81.21.06.191
81.21.06.726
81.21.06.380
81.21.06.798
81.21.06.834
81.21.06.020
81.21.06.279
81.21.06.237
81.21.06.306
81.21.06.833
81.21.06.661
81.21.06.708
81.21.06.802
81.21.06.882
81.21.06.861
81.21.06.166
81.21.06.385
81.21.06.726
81.21.06.527
81.21.06.404
81.21.06.657
81.21.06.748
81.21.01.863
81.21.01.841
81.21.01.912

1. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა 1:500

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჭელიძე ლია ნულუკიძე	ტელეფონი სტატუსი	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია ხელმოწერა	ფურცელი № 26 | სულ 60 ფ. დასახელება: საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განითარების ან/და მიწათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს ურბანულ სამსახურთან. სხვა სახის უმნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.

თარიღი: 17.05.2021 ფორმატი A3

1.

ფოტოფიქსაციის სქემა

1:500



1	2
3	4
5	6
	7

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	ტვირთვა ინტაფლეტა	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 27 | სულ 60 ფ. დასახელება: ფოტოფიქსაციის სქემა	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-ით განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ან/და მინათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს ურბანულ არსახელთან. ამასახელთან, სხვა სანის უნიმუნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.	თარიღი: 17.05.2021	ფორმატი A3
	დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჭელიძე ლია ნულუკიძე						

პირობითი აღნიშვნები	
	კორექტირებული ბრბ-ს არეალი

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა:	განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	კვლევა	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 28 | სულ 60 ფ. დასახელება: ვიზუალური დაბალანსებების ჭედვები	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსახღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ან/და მინათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს ურბანულ სამსახურთან. სხვა სანის უმნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.
	დამკვეთი:	აკაკი გვარამია დავით ჟელიძე ლია ნულუკიძე	სტატუსი	თ. ცხაკაია			

თარიღი: 17.05.2021

ფორმატი A3

1. # სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება 1:500

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	კვლევა	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 32 | სულ 60 ფ. დასახელება: საშენებლო და არასაშენებლო ტერიტორიების ზონირება	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ან/და ძიწათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს ურბანულ სამსახურთან. სხვა სანის უმნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.	თარიღი: 17.05.2021	ფორმატი A3
	დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჭელიძე ლია წულუკიძე	სტატუსი						



დ) **გეგმარებითი კარკასი** (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით.

ბ) **ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება** — მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც ახდენს დედაქალაქის ტერიტორიების იდენტიფიცირებას ტერიტორიულ-სტრუქტურული ნიშნით (ქალაქის ცენტრალური ზონა, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა, გეგმარებითი კარკასი);

გ) **პერიფერიული ზონა** (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;

პირობითი აღნიშვნები

- ბრბ-ს არეალი
- შეთანხმებული ბრბ-ს არეალი
- საკადასტრო საზღვრები
- გეგმარებითი კარკასი
- კერძოსერიული ზონა

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	კვლება	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 42 | სულ 60 ფ. დასახელება: არსებული და საპროექტო სტრუქტურული ზონირების რუკა, გეგმარებითი შემჯაჭვავი ზონირების რუკა	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ან/და მიწათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს ურბანულ სამსახურთან. სხვა სახის უმნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია მენობის პროექტირების ეტაპზე.	თარიღი: 17.05.2021	ფორმატი A3
	დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჟელიძე ლია ნულუკიძე	სტატუსი					

0. მოქმედი გენგეგმით არსებული ფუნქციური ზონირების რუკა 1:2000

შენიშვნა:

პროექტის აღნიშვნები			
ბრბ-ს არეალი	ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)	საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)	სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)
შეთანხმებული ბრბ-ს არეალი	სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1	საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ)
საკადასტრო საზღვრები	სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)	სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)	
	საცხოვრებელი ზონა (სზ)	სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)	

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	ტვსლება	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 45 | სულ 60 ფ. დასახელება: მოქმედი გენგეგმით არსებული ფუნქციური ზონირების რუკა	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ანდა მიწათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს უფლებამოსილ სამსახურთან. სივა სანის უმნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.	თარიღი: 17.05.2021	ფორმატი A3
	დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჭელიძე ლია ნულუკიძე	სტატუსი						

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0121145220**
თარიღი: **25/05/2021**
პინი: **3520**

ადრესატი: მარიამ ეფრემიძე
პირადი ნომერი: 01008050596
მისამართი: გარდაბანი, ხეხილსანერგე მეურნ.

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი 2021 წლის 13 აპრილის №19/01211033578-62 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ განხილულ იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შპს „თბილსერვის ჯგუფი" არ არის წინააღმდეგი ნაგავშემკრები ურნების განთავსება განხორციელდეს წარმოდგენილი სქემის მიხედვით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

რომეო მიქაუტაძე

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორი

საქართველო, თბილისი, 0182, კახეთის გზატკეცილი #67, (+995 32) 2619050, tbsg.ge
#67, Kakheti Highway, Tbilisi, 0182, Georgia, (+995 32) 2619050, tbsg.ge

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	ტიტული	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 62 | სულ 60 ფ. დასახელება: ნაგავშემკრები კონტეინერების აქმატური ნახაზი	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში. ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიულ განვითარების ანდა შინაარსგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ მესაბამის ნაწილებში ცვლილებებს შეტანას, რაც საჭიროა ეროვნულწარ შეთანხმდეს ურბანული სამსახურთან. სივა სახის უშნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.	თარიღი: 17.05.2021	ფორმატი A3
	დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჭელიძე ლია წულუკიძე	სტატუსი					

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ª, თბილისი 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-28535-21
27-04-2021

მოქალაქე მარიამ ეფრემიძეს
მისამართი: ქ. თბილისი, გარდაბანი,
ხეხილსანერგე მეურნეობა
ტელ: 551558082

ქალბატონო მარიამ,

თქვენი მიმდინარე წლის 13 აპრილის №02-13-28535-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, გარდაბანი, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკ. კოდი N81.21.06.859 და №81.21.06.906) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას და შემდგომში დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით გაზსადენებთან მიმართებაში დადგენილ რეგულაციებს გაცნობებთ, რომ №81.21.06.906) ნაკვეთზე კომპანიის გაზსადენი არ გადის, ხოლო N81.21.06.859 ნაკვეთის წითელ ხაზებთან განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის" მოქმედი მიწისზედა საშუალო წნევის D=80 მმ-იანი მილსადენი.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, გაზსადენთან მიმართებაში საჭიროა დაიცვათ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა და სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება,

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

შემსრულებელი შპს "ურბან სფეის" mariam_epremidze@yahoo.com	დაკვეთა: განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება	ბჭალა	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები არქიტექტორი მ.ეფრემიძე თ. ცხაკაია	ხელმოწერა	ფურცელი № 41 | სულ 60 ფ. დასახელება: ბიგბორდების ფლეხლანგის კონსტრუქციული ზონირება /პანაფოტოლაბორატორია/	შენიშვნა: 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში. 2. გრგ ნებისმიერ გადახვევა, რაც იწვევს ცვლილებას გრგ-თი განსაზღვრულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ან/და მინათსარგებლობის რეგლამენტებში ცვლილებას, საჭიროებს გრგ შესაბამის ნაწილებში ცვლილების შეტანას, რაც საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს უფლებიან სამსახურთან. სხვა სახის უმნიშვნელო ცვლილებები დასაშვებია შენობის პროექტირების ეტაპზე.	თარიღი: 17.05.2021	ფორმატი A3
	დამკვეთი: აკაკი გვარამია დავით ჭელიძე ლია წულუკიძე	სტელა					

SOCAR

შ.პ.ს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი
300 არაგველის #24
0144, თბილისი, საქართველო
ტელ: **(+995 32) 2 439 757**
